ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №7098189

ნომერი: AR11043135

თარიღი : 19.06.2024

გაცემის თარიღი : 26.06.2024

გაცნობის თარიღი : 26.06.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გივი ამილახვარის ქუჩა, N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანა ჭურაძე პ/ნ 01024044730
- თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 6 ბ. 58

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი:

1. თქვენს მიერ ნომენკლატურა არასწორად არის არჩეული. ვინაიდან ტერიტორიაზე ეწყობა ახალი ღობე და შლაგბაუმი ნომენკლატურაში რეკონსტრუქციის ნაცვლად უნდა აირჩიოთ ახალი მშენებლობა, რისთვისაც ამავე განცხადებაზე გეძლევათ საშუალება ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით და ნომენკლატურაში აირჩიოთ ახალი მშენებლობა.
2. წარმოსადგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განთითარების სააგენტოს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით. საბოლოო შეთანხმებული სქემები წერილებთან ერთად წარმოდგემილი იქნას არქიტექტურის სამსახურში.
3. ნაკვეთის შესასვლელთან ფიქსირდება მილსადენი, მიწისქვეშა კომუნიკაცია, წყალარინების მილი (საკ. კოდით #01.01.773) მესაკუთრე შპს „კორკჯია უოთერ ენდ ფაუერი“. საჭიროა წარმოადგინოთ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს მიერ გაცემული თანხმობა ღობის და შლაგბაუმის მოწყობის თაობაზე და შესაბამისი ბეჭდით დამოწმებული გრაფიკული ნაწილი.
4. წარმოსადგენია საპროექტო სამუშაოების ასახვით (ღობის და შლაგბაუმის) ხარისხიანი ფოტომონტაჟი. ღობის სიმაღლეზე გაითვალისწინეთ შემდეგი: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, სამშენებლო მიწის ნაკვეთის შემოღობვა დასაშვებია არაუმეტეს 2,2 მეტრი სიმაღლის ღობით, ამასთან ღობის ყრუ ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს გრუნტის ზედაპირიდან 1,8 მეტრს. შესაბამისად შეიცვალოს ღობის სიმაღლე.
5. წარმოდგენილ იქნეს შპს "დი ეს დეველოფმენთ კომპანის" დირექტორის მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.